საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/50

ქ. ბათუმი 06 აგვისტო, 2020 წ.

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 46-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის 2020 წლის 5 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (MES 8 20 0000665149, 05.08.2020) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში, კერძოდ კი, მის დანართი 1-ში (დებულება) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 (სამი სასწავლო წელი) და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.“;

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, (შემდეგში თანახელმძღვანელი):

ა) სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სამეცნიერო თანამდებობის პირი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი);

ბ) უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან მოწვეული შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი (ასეთ შემთხვევაში დოქტორანტი თავისუფლდება დისერტაციის

შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) საერთაშორისო რეცენზირების ვალდებულებისაგან);

გ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტს უკვე ჰყავს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის ან მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი.

გ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასწავლო კომპონენტი (სულ არაუმეტეს 60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებსა და სემინარებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოქვიუმსა და სადისერტაციო ნაშრომს.“

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**